ს.ს.ი.პ. ასლი

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"

ბრძანება

——05.–05.–09——№—43—

სტუ-ს სტუდენტთა საექსკურსიო-სანახაობითი, სპორტულ-კულტურული, სამეცნიერო-შემეცნებითი, საქველმოქმედო-სოციალური და გასართობი პროგრამების (პროექტების) შესახებ

საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიულობის, გამჭვირვალობისა და თანაბარი კონკურენტულობის ერთიან პრინციპებზე დაყრდნობით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების ნოვატორული ინიციატივების, საექსკურსიო-სანახაობითი, სპორტულ-კულტურული, სამეცნიერო-შემეცნებითი, საქველმოქმედო-სოციალური და გასართობი პროგრამების (პროექტების) და წინადადებების ხელშეწყობის, წახალისებისა და კოორდინირების მიზნით, კანონითა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებით რექტორისათვის განსაზღვრული უფლებამოსილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილებას დაევალოს:

1.1 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილების დებულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე და სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით, განიხილოს და შეისწავლოს ნებისმიერი სტუდენტური საექსკურსიო-სანახაობითი, სპორტულ-კულტურული, სამეცნიერო-შემეცნებითი, საქველმოქმედო-სოციალური და გასართობი პროგრამები (პროექტების) და ნოვატორული ინიციატივები, რომელიც უნდა განხორციელდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მონაწილეობითა და დაფინანსებით, მოახდინოს მისი ხელშეწყობა და კოორდინირება;

1.2 სტუ-ს რექტორთან და შესაბამის ორგანოებთან განახორციელოს სტუ-ში შემოსული (სტუდენტური საექსკურსიო-სანახაობითი, სპორტულ-კულტურული, სამეცნიერო-შემეცნებითი, საქველმოქმედო-სოციალური და გასართობი პროექტების) პროგრამებისა და წინადადებების ვიზირება (რეკომენდირება);

1.3 სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათი აქტიურად ჩართვისა და მონაწილეობის შესაძლებლობების შეთავაზების მიზნით, განყოფილების დებულების შესაბამისად, პერიოდულად წარმოადგინოს პროექტები, წინადადებები და ინიციატივები სტუდენტური საექსკურსიო-სანახაობითი, სპორტულ-კულტურული, სამეცნიერო-შემეცნებითი, საქველმოქმედო-სოციალური, გასართობი და სხვა ტიპის ღონისძიებების შესახებ და სტუ-ს შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობით, კანონმდებლობის შესაბამისად მოახდინოს ამ პროგრამების ადმინისტრირება;

1.4 აღნიშნული საკითხების მაღალ დონეზე განხორციელების, საჯაროობისა და მისი შესრულების პროცესის კონტროლში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა

მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, სტუ-ს სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს ბორის გითოლენდიას დაევალოს, კომპეტენციის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ სკითხებზე პერიოდულად წარმოადგინოს დამატებითი წინადადებები და ინიციატივები;

1.5 ინფორმაციის საჯაროობის მიზნით ბრძანება განთავსდეს სტუ-ს ინტერნეტ გვერდზე.

საფუძველი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილების დებულება.

რექტორი, პროფესორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი ბ. მაისურაძე

სწორია